

შურმანის წარმომადის ღინამიბა საქართველოში რეგიონების მიხედვით

როლანდ კოპალიანი, მარიეტა თაბაგარი, შორენა კაპანაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. ქუთაისი, საქართველო.
ikopaliani@yahoo.com, marietatabagari@yahoo.com, shor-ka@mail.ru

ანოტაცია

გასული საუკუნის 80-იან წლებში ვენახების ფართობი 150 ათას ჰექტარზე მეტი იყო, დანარჩენის ქარხნები წლიურად 500-700 ათას ტონა კურძენს ამზადებდნენ სარეალიზაციოდ. 90-იანი წლებიდან კი ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა მევენახობა-მედვინეობას სერიოზული ზიანი მიაყენა. ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ 1990-დან 2006 წლამდე საქართველოში ვენახით დაკავებული ფართობი შემცირდა 53,4 %-ით.

ზემოთ აღნიშნულის შესაბამის სურათს იძლევა კურძნის წარმოების დინამიკა რეგიონების მიხედვით, კერძოდ თუ 1990 წელს კურძნის წარმოებამ საქართველოში შეადგინა 691,0 ათასი ტონა, ამ მაჩვენებელმა 2016 წელს შეადგინა 159,2 ათასი ტონა.

ანუ კურძნის წარმოება შემცირდა 23,1 %-ით. ანალოგიურ სურათს იძლევა კურძნის წარმოების მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით. ასე მაგალითად: აღნიშნულ პერიოდში კურძნის წარმოებამ იმერეთში იკლო 16,4 %-ით, შიდა ქართლში – 31,5 %-ით, კახეთში – 25,6 %-ით, და დანარჩენ რეგიონებში – 18,5 %-ით.

ქვემოთ მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია მევენახობა-მედვინეობის დარგების რეაბილიტაცია და შემდგომი აღმავლობისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა.

შინაარსი. სასოფლო-სამეურნეო მრავალწლიან მცენარეებთან შედარებით ვაზი ადრე იწყებს მოსავლის მოცემას. სათანადო მოვლის პირობებში იგი დარგვის მეორე წელსვე იძლევა მცირეოდენ მოსავალს, მესამე წელს კი საკმაო მოსავლიანობით ხასიათდება, ხოლო სრულ მოსავლიანობას იწყებს მეოთხე-მეხუთე წელს. მისგან შეიძლება მიღებული იქნას სხვადასხვა სახეობის პროდუქცია: სუფრის კურძნი, ქიშიში, კურძნის წვენი, დვინო.

მევენახობა უძველესი დარგია. კულტურული მევენახობის საწყისი ენეოლითურ და ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება. ამიერკავკასიის, შუა და წინა აზიის მოსაზღვრე რაიონებში მევენახობა ცნობილი იყო ძვ. წ. რამდენიმე ათასეული წლის წინათ. საქართველო მევენახობის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ ვაზის გაშენება-მოვლის წესები ცნობილი იყო ძვ. წ. 3200-3300 წლის წინათ. ადგილობრივი მევენახობის სიძველეზე მიუთითებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, წერილობითი წყაროები, მდიდარი ხალხური ტერმინოლოგია და სხვა.

საქართველოში ვენახის ფართობითა და კურძნის წარმოებით პირველ ადგილზეა კახეთი, აქ გაშენებულია რესპუბლიკის ვენახების მთელი ფართობის 44% და შეისყიდება დამზადებული კურძნის 55%. მეორე ადგილზეა იმერეთი (შესაბამისად 19-26%), მესამეზე - ქართლი (12-15%). დანარჩენი ზონების ხვედრითი წონა შედარებით მცირება. მევენახობის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა თითოეული ზონისა და მიკროზონისათვის სტანდარტული და განსაკუთრებით უნიკალური ვაზის ჯიშების გეგმიანი გაშენება.

საქართველო მევენახობის ოვლასაზრისით შეიძლება დაიყოს შემდეგ რაიონებად:

1. შიდა კახეთის მევენახობის რაიონი, რომელსაც ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია. მასში შედის ცნობილი წინანდლის, მუკუნის, ყვარლის, ნაფარეულის, კარდენახისა და ხირსის წარმოებები;

2. გარე კახეთის მევენახეობის რაიონი, რომელიც მნიშვნელოვანია სუფრის ურმის წარმოების თვალსაზრისით;

3. ქართლის მევენახეობის რაიონი, რომელიც ცნობილია ჯიშებით – ჩინური, გორული მწვანე და სხვა. ამ რაიონში აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ზოგიერთმა უცხო ჯიშმა ქართლის რაიონში უკეთესი პირობები პოვა გიდრე თავის სამშობლოში.

4. ზემო ქართლი – ისტორიული ძეგლებიდან ცნობილია ძველი მესხეთის ტერიტორიაზე მევენეხეობის განვითარების შესახებ.

5. ქვემო ქართლის მევენახეობის რაიონში აგროკლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა საუკეთესო სუფრის ურმის წარმოებისათვის;

6. იმერეთი საქართველოს მევენახეობის ერთ-ერთი ძირითადი რაიონია, სადაც წარმოებს სხვადასხვა ჯიშის ურმის მოყვანა საუკეთესო ხარისხის სუფრის დვინის, შამპანურის დასამზადებლად;

7. ოჭალებებუმის მევენახეობის რაიონში მიიღება საქმაოდ კარგი ღირსების თეთრი და წითელი დვინოები. მევენახეობის ეს რაიონი საქმაოდ მდიდარია ვაზის ძეგლი ჯიშებით, როგორიცაა წელუკიძის თეთრა, ალექსანდროული, მუჯურეთული, უსახელოური და სხვა. ეს რაიონი განთქმულია მაღალხარისხოვანი წითელი დვინით “ხანჭკარა”;

8. სამეგრელოს მედვინეობის რაიონში აღსანიშნავია ჯიში “ოჯალეში”;

9. გურიის მედვინეობის რაიონი ცნობილია ადგილობრივი ჯიშების სიმრავლით, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩხავერი, სხილათუბანი, მტევანდიდი, ალადასტური და სხვა;

10. აჭარის ადგილობრივი ჯიშებიდან ცნობილია ხოფათაური, კლარჯული, ბროლა, ბუტკო და სხვა. ამჟამად ყველაზე გავრცელებულია “იზაბელა”.

მხარეების მიხედვით ურმის წარმოების თვალსაზრისით საქართველოში მევენახეობა-მედვინეობის განვითარებაში წამყვან როლს კახეთისა და იმერეთის მხარე ასრულებს. ყველაზე უმნიშვნელო როლს ურმის წარმოებაში სამცხე-ჯავახეთის მხარე ასრულებს. აქ ურმის წარმოება მხოლოდ 0,1%-ს შეადგენს.

ამჟამად მსოფლიოში 4 ათასამდე ვაზის ჯიშია, მათ შორის 500-მდე - ქართული. საქართველოს ვაზის სტანდარტულ სორტიმენტში შეტანილია 41 ჯიში, აქედან 27 ტექნიკური (საღვინე) ჯიშია, 14 - სუფრის. გადასამუშავებლად იყენებენ მთელი ვართობიდან მიღებული მოსავლის 96-97%-ს: ხოლო სასუფრედ - 3-4%-ს. საქართველოში ვაზის ჯიშებიდან უფრო გავრცელებულია რქაწითელი - 55%, ცოლიკოური - 10,2%, ჩინური - 7%, საფერავი - 4%, კახური მწვანე - 3,3%, გორული მწვანე - 2,1%. დანარჩენი ჯიშები შედარებით მცირე ფართობზეა.

საქართველოს მედვინეობის ერთერთი ყველაზე დამახასიათებელი და განუყოფელი ნიშან-თვისებაა ხარისხი. მსოფლიოს საუკეთესო მედვინეობის მხარის თანავარსკვლავედში, რომლებიც გამოირჩევიან განვითარებული ხარისხის მედვინეობით, საქართველოს დამსახურებულად უჭირავს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი. ვაზის ბევრი შესანიშნავი ქართული ჯიში, უპირველეს ყოვლისა, რქაწითელი, საფერავი, მწვანე, ცოლიკაური და სხვა, რომლებიც ხასიათდებიან ძვირფასი სამეურნეო თვისებების სრული კომპლექსით, საყოველთაო აღიარებით სარგებლობენ და ამჟამად მასიურად კულტივირებულია სამშობლოს ფარგლებს გარეთაც (შუა აზიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, მოლდავეთის რაიონებში, ყირიმში და შორეულ საზღვარგარეთში). ყოველივე ზემოაღნიშნული განსაზღვრავს ქართული მევენახეობისა და მედვინეობის თვითმყოფადობას. ურმის ადგილობრივი ჯიშების შესანიშნავი ფონდით, საუკუნეების გამოცდილებაზე დაფუძნებული საუკეთესო დვინოების გამოყვანით, მრავალფეროვანი დვინის პროდუქციის წარმოების ორიგინალური წესებით, საქართველოს რეფორმამდელ პერიოდში დირსეული წვლილი შექმნდა მსოფლიო მევენახეობა-მედვინეობის განვითარებაში.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ვენახების ფართობი 150 ათას ჰექტარზე მეტი იყო, დვინის ქარხნები წლიურად 500-700 ათას ტონა ურმის ამზადებდნენ, მიღებული დვინოპროდუქცია ძირითადად ყოფილი სსრკ-ისა და გარკვეული ნაწილი კი საექსპორტოდ საზღვარგარეთის ბაზებზე იყიდებოდა.

90-იანი წლებიდან ქვეყნაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა, აგრეთვე აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე

მოვლენებმა, მევენახეობა-მედვინეობას სერიოზული ზიანი მიაყენა, მნიშვნელოვნად შემცირდა დარგის სამრეწველო-ეკონომიკური პოტენციალი. დაიკარგა პროდუქციის ტრადიციული გასაღების ბაზარი, მოიშალა დარგის ინფრასტრუქტურა, ღრმა კრიზისმა მოიცვა სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგი, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა და გაართულა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობები და ცხოვრების დონე.

როგორც N 1 ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს 1990 წელს საქართველოში ვენახით დაკავებული ფართობი 112,800 ჰექტარს შეადგენდა, ხოლო 2006 წელს მისი მაჩვენებელი თითქმის განახევრდა და შეადგინა 60,2 ათასი ჰექტარი. ანუ შემცირდა 53,4 %-ით.

ვენახის ფართობის კლება მხარეების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა: კახეთში შემცირდა 56,9 %-ით, ქართლში – 52,3 %-ით, იმერეთში – 64,6 %-ით, რაჭა-ლეჩხეუმში – 51,7 %-ით, მცხეთა-მთიანეთში – 48,4 %-ით, დანარჩენ რეგიონებში კი 11,2 %-ით.

როგორც ვხედავთ აღნიშნულ პერიოდში ვენახების ფართობი ქვეყანაში თითქმის განახევრდა, ხოლო ზოგ რეგიონში კიდევ უფრო მეტად შემცირდა. უურძნის წარმოების მავნეორი შემცირებისა და დგინის მრეწველობაში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო კატასტროფულად შემცირდა დგინის წარმოების მოცულობა როგორც რეგიონებში, ასევე მთლიანად ქვეყანაში,

ვენახებით დაკავებული ფართობები საქართველოში 1990-2006 წლებში (ათასი ჰექტარი)

ცხრილი 1.

მხარეები	1990	1995	2000	2004	2005	2006
კახეთი	66,387	57,300	39,437	37,8	37,8	37,8
ქართლი	13,014	9,700	6,909	6,8	6,8	6,8
იმერეთი	18,564	16,517	12,658	12,0	12,0	12,0
რაჭა-ლეჩხეუმი	2,705	2,301	1,474	1,4	1,4	1,4
მცხეთა-მთიანეთი	2,275	2,103	1,194	1,1	1,1	1,1
დანარჩენი	9,859	6,285	2,028	1,1	1,1	1,1
სულ საქართველო	112,800	94,210	63,700	60,2	60,2	60,2

უურძნის წარმოების დინამიკა რეგიონების მიხედვით მოცემულია N 2 ცხრილში, საიდანაც ნათლად ჩანს უურძნის წარმოების მდგომარეობა 1990 წლიდან დღემდე. ასე მაგალითად თუ 1990 წელს უურძნის წარმოებამ საქართველოში შეადგინა 691,0 ათასი ტონა, ამ მაჩვენებელმა 2016 წელს შეადგინა 159,2 ათასი ტონა. ანუ უურძნის წარმოება შემცირდა 23,1 %-ით. ანალოგიურ სურათს იძლევა უურძნის წარმოების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით. ასე მაგალითად: აღნიშნულ პერიოდში უურძნის წარმოებამ იმერეთში იკლო 16,4 %-ით, შედარებული კახეთში – 31,5 %-ით, კახეთში – 25,6 %-ით, და დანარჩენ რეგიონებში – 18,5%-ით. ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების, ეკონომიკის გაჯანსაღებისა და ხალხის მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია მეგენახეობა-მედვინეობის დარგების ჯერ რეაბილიტაცია და შემდგომი აღმავლობისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა.

ქურმის წარმოება რეგიონების მიხედვით (ათასი ტონა)

ცხრილი 2.

	1990	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
საქართველო მათ შორის:	691,0	120,7	159,6	144,0	222,8	172,6	214,5	159,2
იმერეთი	132,5	25,0	26,3	36,2	36,6	11,7	28,6	21,7
შიდა ქართლი	26,7	8,6	10,2	13,6	18,7	16,4	15,1	8,4
კახეთი	433,8	64,7	98,1	70,8	129,5	124,3	150,3	111,0
დანარჩენი რეგიონები	98,0	22,4	25,0	23,3	38,1	20,1	20,4	18,1

ქართველი მეცნიერ-სპეციალისტების გაანგარიშებით მთლიანად საქართველოში კენახების ოპტიმალურ ფართობად მიჩნეულია 80-90 ათასი ჰა ფართობის ოდენობა. დაახლოებით 65% და წარმოებული ქურმის 70%-მდე მოვა მევენახეობის წამყვან რეგიონზე კახეთზე. არსებული ნარგაობის 90-92% უნდა იყოს სრულმოსავლიანი. მათზე შეიძლება (სულ მცირე) წარმოებულ იქნეს 250-300 ათასი ტონა მაღალხარისხიანი ნედლეული.

ლიტერატურა:

- ლ. ოქროცვარიძე - მევენახეობის განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებები და პერსპექტივები აგროსამრეწველო ინტეგრაციის პირობებში (კახეთის შეარის მაგალითზე). თბილისი, 2008 წ.
- საქსტანდარტის მონაცემები 2006წ.
http://geostat.ge/?action=page&p_id=913&lang=geo.
- ზ. ტყებუჩავა, გ. ცაგურიშვილი, ც. სამადაშვილი, ჯ. შენგელია, ბ. აბაშიძე, ქ. მაღლაკელიძე, ნ. ჩხაიძე – სოფლის მეურნეობის საფუძვლები. თბილისი, 2008 წ.

GRAIN PRODUCTION DYNAMICS IN GEORGIA ACCORDING TO REGIONS

Roland Kopaliani, Marietta Tabagari, Shorena Kapanadze

Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

rkopaliani@yahoo.com, marietatabagari@yahoo.com, shor-ka@mail.ru

Summary

Georgia is one of the oldest homes of viticulture. The archaeological and ethnographic materials, written sources, rich folk terminology, etc. are indicators of the local viticulture antiquity.

Currently there are about 4,000 grape varieties in the world, including 500 Georgians. There are 41 types of wine variants of Georgian grape varieties, 27 of which are technical wine breeds, and 14 feast. From the grape varieties in Georgia, Rkatsiteli, Tsolikouri, Chinese, Saperavi, Kakheti Green, Goruli Green, the rest of the varieties are spread on relatively small area.

In the 80s of the last century the area of vineyards was more than 150 thousand feet, wine factories were producing 500-700 thousand tons of grapes annually. From the 90s, serious political, social and economic conditions created in the country caused serious damage to viticulture and winemaking. According to the survey, from 1990 to 2006, the area occupied by the vineyard in Georgia decreased by 53,4%.

The above picture shows the dynamics of grape production according to regions, in particular, in 1990 the grape production in Georgia amounted to 691,0 thousand tons, which was 159,2 thousand tons in 2016. Grape production decreased by 23.1%. A similar picture gives the grape production indicators according to regions. For example, grape production in Imereti has decreased by 16.4%, Shida Kartli - 31.5%, Kakheti - 25.6% and in other regions - 18.5%.

Due to the sharp improvement of the material conditions of the country's population, it is necessary to rehabilitate the viticulture and winemaking fields and maximize the further growth.